ქართული
წიგნის
ეროვნული
ცენტრი

სსიპ ქართულის წიგნის ეროვნულის ცენტრი

გამარტივებული ელექტრონული ტენდერი

,,ბაზრის შესწავლის და ეკონომიკური კვლევის; გამოკითხვების და სტატისტიკის''
მომსახურების შესყიდვა

სატენდერო დოკუმენტაცია

CPV - 79300000

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის 12^1 მუხლის და ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ'' სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე.

2015 წელი

ქ. თბილისი

1. **ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის იხილეთ www.procurement.gov.ge-ზე**

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1 შესყიდვის ობიექტი და ტექნიკური დავალება:

შესყიდვის ობიექტია ქართული საგამომცემლო სექტორის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით **ქართული წიგნის ბაზრის კვლევა,** რომლის ტექნიკური დავალება მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციის დანართის N1 სახით.

შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაა - 32 000 (ოცდათორმეტი ათასი) ლარი.

დაფინანსების წყარო - ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის 20015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები.

2.1.1 პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს კვლევების მიმართულებით მუშაობის არანაკლებ რვა წლიანი გამოცდილება 2006 წლიდან სატენდერო წინადადების წარდგენის დღემდე მათ შორის არანაკლებ ორი კვლევა საერთაშორისო ორგანიზაციების დაკვეთით განხორციელებული;

2.1.2 პრეტენდენტის მიერ სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული კვლევის ჩატარებისათვის შემოთავაზებული გუნდის ხელმძღვანელ პირს უნდა გააჩნდეს კვლევების ხელმძღვანელობის გამოცდილება არანაკლებ ხუთწლიანი გამოცდილება 2009 წლიდან სატენდერო წინადადების წარდგენის დღემდე;

2.1.3 პრეტენდენტი უნდა წარმოადგენდეს საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციის წარმომადგენლობას საქართველოში (საქართველოს ბაზარზე უნდა ოპერირებდეს ერთი საერთაშორისო ბრენდის (რეგისტრირებული სახელწოდების) სახელით) ან უნდა გააჩნდეს ანალოგიური პროფილის ოფიციალური წარმომადგენლობა არანაკლებ ორი ქვეყანაში;

2.1.4 პრეტენდენტსარ უნდა ჰქონდეს ინტერესთა კონფლიქტი საქართველოში არსებულ წიგნის სექტორის (გამომცემლობა ან წიგნის დისტრიბუტორი) წარმოამადგენლებთან.

2.1.5 იმ შემთხვევაში თუ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20% -ზე მეტით დაბალი იქნება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, მოთხოვნის შესაბამისად მიმწოდებელმა უნდა დაასაბუთოს ამ ფასად ტენდერით გათვასიწინებული ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა. პრეტენდენტმა შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი მოთხოვნის შემდეგ, არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში უნდა წარმოადგინოს/ატვირთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება;

2.1.6 ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, უნდა დასაბუთდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით ან დეტალური ხარჯთაღრიცხვით (შესაბამისი დასაბუთებით), რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას;

2.1.7 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

2.2 სატენდერო წინადადების ფასი:

2.2.1 სატენდერო წინადადებაში მითითებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება მითითებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის მათ შორის (დღგ) გათვალისწინებით;

2.2.2 სატენდერო წინადადების ფასი გამოსახული უნდა იყოს მხოლოდ ლარში;

2.3 ანგარიშსწორების პირობები:

2.3.1 ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში;

2.3.2 ანგარიშწორების ფორმაა - წინასწარი (ავანსი) ანგარიშსწორება სახელშეკრულებო ღირებულების 100%-ის ოდენობით;

2.3.3 წინასწარი ანგარიშსწორების საფუძველს წარმოადგენს საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 დღით უნდა აღემატებოდეს მომსახურების გაწევის საბოლოო ვადას;

2.3.4 საბანკო გარანტია უნდა წარმოდგენილ იქნეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში;

2.3.5 მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება ტექნიკური დავალების შესაბამისად ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ანგარიშისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მომსახურებასთან დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე.

2.4 მომსახურების გაწევის ვადები

2.4.1 მომსახურების გაწევა ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 16 კვირის განმავლობაში;

2.4.2 პრეტენდენტმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში შემსყიდველთან შეთანხმებით უნდა შეიმუშაოს და წარმოადგინოს კვლევის დიზაინი, მეთოდოლოგია, დეტალური გეგმა-გრაფიკი და პოტენციურ რესპოდენტთა სავარაუდო ნუსხა;

2.4.3 გაწეული მომსახურების შედეგად ჩატარებული კვლევის ანგარიშის მასალების/დოკუმენტაციის (ბეჭდური და ელექტრონული) მიწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. 4.

2.4.4 პრეტენდენტმა საბოლოო ანგარიშის წარდგენამდე, ჩატარებული კვლევის შედეგები, პრეზენტაციის სახით, უნდა გააცნოს შემსყიდველის წარმომადგენლებს.

2.5 პრეტენდენტის მიერ ელექტრონული სისტემაში ასატვირთი დოკუმენტებია

2.5.1 პრეტენდენტის რეკვიზიტები: სრული დასახელება, იურიდიული და ფაქტიური მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ელ.ფოსტა, ვებ-გვერდი, საკონტაქტო ტელეფონი/ფაქსი, ხელმძღვანელისა და/ან ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი დანართი #2-ის შესაბამისად;

2.5.2 პრეტენდენტის შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული ტექნიკური დავალების შესაბამისად შედგენილი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა დანართი #3–ის შესაბამისად;

2.5.3 ინფორმაცია 2006 წლიდან სატენდერო წინადადების წარდგენის დღემდე, პრეტენდენტის კვლევების მიმართულებით მუშაობის არანაკლებ რვა წლიანი

გამოცდილების შესახებ მათ შორის არანაკლებ ორი კვლევა საერთაშორისო ორგანიზაციების დაკვეთით განხორციელებული (დოკუმენტში უნდა მითითებული იყოს კვლევის დამკვეთი, კვლევის საგანი, კვლევის განხორციელების წელი და დამკვეთის საკონტაქტო მონაცემები);

2.5.4 ინფორმაცია, 2009 წლიდან სატენდერო წინადადების წარდგენის დღემდე, კვლევის ხელმძღვანელზე, კვლევების ხელმძღვანელობის არანაკლებ ხუთწლიანი გამოცდილების შესახებ (დოკუმენტში უნდა მითითებული იყოს კვლევის დამკვეთი, კვლევის საგანი, კვლევის განხორციელების წელი და დამკვეთის საკონტაქტო მონაცემები);

2.5.5 ინფორმაცია პრეტენდენტის საქართველოში საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციის წარმომადგენლობის შესახებ ან არანაკლებ ორ ქვეყანაში ანალოგიური პროფილის ოფიციალური წარმომადგენლების შესახებ (დამადასტურებელი დოკუმენტაცია ასლის სახით).

2.5.6 ინფორმაცია საქართველოში არსებულ წიგნის სექტორის (გამომცემლობა ან წიგნის დისტრიბუტორი) წარმოამადგენლებთან ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ.

2.5.7 მომსახურების გაწევის გეგმა-გრაფიკი კვირების მიხედვით;

2.5.8 არანაკლებ ორი ორგანიზაციის მიერ გაცემული დადებითი რეკომენდაცია, პრეტენდენტის მიერ 2006-2015 წლებში ჩატარებული კვლევების შესახებ.

3. დამატებითი ინფორმაცია:

3.1. სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, შესაბამისი მიმართვის შემთხვევაში. ქ. თბილისი, სანაპიროს ქ №4. საკონტაქტო პირი: ლიკა ქართლელიშვილი. ოთახი №106 ტელ: 599339565.

შენიშვნა: *პრეტენდენტ(ებ)ის მიერ შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული;*

სატენდერო დოკუმენტაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანები ქართულ ენაზე.

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტ(ებ)ს შეუძლია სისტემის მოდულის - ,,კითხვა/პასუხი'' მეშვეობით.

სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში სატენდერიო წინადადების წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას ტექნიკურ დოკუმენტაციაში განსაზღვრულ პირობებთან დაკავშირებით.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად გამარჯვებულ პრეტენდენტთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობები დაზუსტდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ქ. თბილისი ---------- 2015 წელი

ერთის მხრივ სსიპ ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი (შემდგომში ,,შემსყიდველი''), წარმოდგენლი მისი დირექტორის მედეა მეტრეველის სახით და მეორეს მხრივ ---------- წარმოდგენილი მისი ---------- სახით, (შემდგომში ,,მიმწოდებელი'') სახელმწიფო შესყიდვების კანონის საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომში _ “ხელშეკრულება”) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომში “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს საქონლის მიწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი, ფასი და სტანდარტები

2.1 ხელშეკრულება დადებულია იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (SPA----------) ბაზრის შესწავლა და ეკონომიკური კვლევა; გამოკითხვები და სტატისტიკა (CPV კოდი 79300000), მათ შორის ქართული საგამომცემლო სექტორის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით ქართული წიგნის ბაზრის კვლევის მომსახურების შესყიდვის მიზნით, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება და მიმწოდებელმა იკისრა ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოხსენებული მომსახურება ფასზე: ---------- ლარი.

2.2 ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში მითითებულ პირობებსა და ამ სფეროში მოქმედ ხარისხის სტანდარტებს, არ უნდა იწვევდეს ხარვეზს, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით აწარმოებს ხარვეზის აღმოფხვრას.

2.3 შესყიდვის ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემები, ტექნიკური მოთხოვნები, ხარისხობრივი მახასიათებლები, რაოდენობა მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკურ დავალებაში და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების ფასების ცხრილში, რომელიც წარმოადგენს

ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი, რათა დარწმუნდნენ მის შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის საჭირო პირობებით.

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

3.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ----------.

4. მიწოდების პირობები

4.1.1 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის - ქართული წიგნის ბაზრის კვლევის მომსახურების სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალებისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების შესაბამისად მიწოდება.

4.1.2. მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 16 კვირის განმავლობაში.

4.1.3. მიმწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში შემსყიდველთან შეთანხმებით უნდა შეიმუშაოს და წარმოადგინოს კვლევის დიზაინი, მეთოდოლოგია, დეტალური გეგმა-გრაფიკი და პოტენციურ რესპოდენტთა სავარაუდო ნუსხა.

4.1.4. მომსახურების გაწევა (,,მიმწოდებლის'' მიერ ჩატარებული კვლევის ანგარიშის მასალების/დოკუმენტაციის (ბეჭდური და ელექტრონული) მიწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. 4.

4.1.5. პრეტენდენტმა საბოლოო ანგარიშის წარდგენამდე, ჩატარებული კვლევის შედეგები, პრეზენტაციის სახით, უნდა გააცნოს ცენტრის წარმომადგენლებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება მხოლოდ ტექნიკური დავალების შესაბამისად ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ანგარიშისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მომსახურებასთან დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარში.

6.2 გადახდის ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებლის მიერ ხელშკრულებაში მითითებულ საბანკო რეკვიზიტებზე წინასწარი (ავანსი) ანგარიშსწორება სახელშეკრულებო ღირებულების 100%-ის ოდენობით.

6.3 ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

6.4 წინასწარი ანგარიშსწორების საფუძველს წარმოადგენს საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 დღით უნდა აღემატებოდეს მომსახურების გაწევის საბოლოო ვადას.

6.5 საბანკო გარანტია უნდა წარმოდგენილ იქნეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების

შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

7.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

7.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5 პროცენტის ოდენობით ყოველი გადაცილებული დღისათვის.

8.2 მხარეები ვალდებული არიან დაფარონ პირგასამტეხლო არაუგვიანეს მხარის წერილობითი მოთხოვნიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

8.3 მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების განმეორებით შეუსრულებლობის ან/და პირგასამტეხლოს დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ან თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

9.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ.

(ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მომსახურება ან მისი ნაწილი;

(ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

9.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

9.4 ამ მუხლის 9. 3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით.

11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. გამოყენებული სამართალი

12.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. შეტყობინება

ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების ორმხრივად ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის ----------.

15. დასკვნითი დებულებები

15.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლიარად აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და თითო მათგანი ინახება მხარეებთან.

15.2. გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და მისი განუყოფელი ნაწილია.

15.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერ ცვლილება და დამატება ძალაში შედის მხოლოდ წერილობითი ფორმით შესრულებისა და მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის შემდეგ.

შემსყიდველი ორგანიზაცია: მიმწოდებელი:
სსიპ ქრთული წიგნის ეროვნული ცენტრი

დანართი №1

შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება

ქართული წიგნის ბაზრის კვლევა

/2013-2015/

კვლევის მიზანი

საგამომცემლო სეგმენტის კვლევა - აღნიშნულმა კვლევამ შესაძლოებლობა უნდა მოგვცეს მივიღოთ 2013-2015 წლის სრული სტატისტიკური ინფორმაცია წიგნის სეგმენტის ყველა კომპონენტის შესახებ წიგნის ბაზრის ზოგადი შეფასებისა და არსებული პრობლემების დადგენის , წიგნის ბაზრის შემდგომი განვითარებისა და მკითხველთა ბაზის გაფართოების სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობისათვის.
გამოავლინოს სუსტი მხარეები და, მოძიებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელი გახადოს აღნიშნული სუსტი მხარეების აღმოფხვრის მიზნით კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის სეგმენტი

გამომცემლები/კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები, დისტრიბუტორები/წიგნის მაღაზიები, ბიბლიოთეკები, მკითხველი.

რაოდენობრივი კვლევა

- ✓ კვლევა უნდა განხორციელდეს საქართველოს მასშტაბით.
- ✓ კვლევაში მკითხველის კომპონენტის გამოკითხვა უნდა განხორციელდეს საქართველოს შემდეგ ქალაქებში: თბილისი, ბათუმი, ქუთაისი და თელავი (არანაკლებ 700 რესპონდენტის პირისპირ ინტერვიუს და სპეციალურად მომზადებული კითხვარების საშუალებით).

კვლევის მოთხოვნები

1. **ბაზრის განაწილება 2015**
- დიდი გამომცემლობები
- საშუალო ზომის გამომცემლობები
- პატარა გამომცემლობები
- პერიოდული გამომცემლობები
- რეგიონალური გამომცემლობები

2. **წიგნის ბაზარი 2013-2015**
- შემოსავალი წიგნების გაყიდვიდან საგამომცემლო ფასით
- პროცენტული ზრდა

3. **წიგნის გამოცემა 2013-2015**

- გამოცემული დასახელებები
- პირველი გამოცემები
- ტირაჟი
- გაყიდული ეგზემპლარი
- საშუალო ტირაჟი
- ხელახალი გამოცემა
- ISBN

4. **ქართული და თარგმნილი ლიტერატურა (ჯამური მაჩვენებელი) 2013-2015**

- გამოცემული დასახელებები
- ქართული ლიტერატურის მაჩვენებელი
- თარგმნილი ლიტერატურის მაჩვენებელი

5. **შემოსავალი კატეგორიების მიხედვით (%) 2013-2015**

- „მეინსტრიმული“ (ყველაზე კითხვადი) ლიტერატურა
- საბავშვო წიგნები
- სასკოლო წიგნების კრებულები
- სასკოლო წიგნები
- აკადემიური და პროფესიული ლიტერატურა
- სურათებიანი წიგნები
- რელიგიური თემატიკის წიგნები
- სხვა (სამუსიკო ნოტების და რუკების ჩათვლით)

6. **5 ყველაზე დიდი გამომცემლობა 2015**
    - გამომცემლობა
    - შემოსავალი გაყიდული წიგნებიდან 2014 წელს
    - შემოსავალი გაყიდული წიგნებიდან 2015 წელს
    - ლიტერატურული პრემიები და ჯილდოები

7. **10 ყველაზე დიდი გამომცემლობა გამომცემლობა 2015 შემდეგი მიმართულებებით:**

- მხატვრული ლიტერატურა
- არამხატვრული, დოკუმენტური ლიტერატურა
- თარგმნილი ლიტერატურა
- საბავშვო ლიტერატურა

8. **წიგნის საშუალო ფასი 2013-2015**

- GEL
- EURO

9. დისტრიბუცია 2013-2015 / სადისტრიბუციო ბაზრის წილი

- წიგნის მაღაზიები
- ინტერნეტი
- ჰიპერმარკეტები
- წიგნის კლუბები, სალონები
- კარ და კარის პრინციპი
- ადგილობრივი წიგნის ბაზრობები და ფესტივალები
- სხვა

10. ქართული და თარგმნილი ლიტერატურა 2014-2015

- ქართული ლიტერატურა უცხო ენებზე :2014-2015 წლებში გამოცემული თარგმანები (ენა / ჟანრი / ტირაჟი)
- უცხოური ლიტერატურა ქართულ ენაზე : 2014-2015 წლებში გამოცემული თარგმანები (ენა / ჟანრი / ტირაჟი)
- ბესთ სელერები 2015: მხატვრული ლიტერატურა / არამხატვრული ლიტერატურა

11. მარკეტინგი (გამომცემლები) 2015

- ინფორმაცია გამომცემლობების მხრიდან მარკეტინგის მიმართულებით გაწეული საქმიანობის შესახებ.

12. წიგნის ბაზრობები 2013-2015

- ადგილობრივი და საერთაშორისო წიგნის ბაზრობებზე ქართული გამომცემლობების მონაწილეობის შესახებ .

13. ლიტერატურული პრემიები 2013-2015

- ინფორმაცია საქართველოში არსებული ლიტერატურული პრემიების და ჯილდოების შესახებ

14. წიგნიერების დონე 2014-2015

- *მკითხველის და მყიდველის %-ული შეფარდება:*
  მკითხველი
  მყიდველი
- *უკანასკნელი 12 თვის მანძილზე წაკითხული წიგნების რაოდენობა:*
  READERS OF 1-6 BOOKS / 1-დან 6 წიგნამდე
  READERS OF 7 OR MORE BOOKS / 7 და მეტი წიგნი

- *წიგნის მიღების წყარო:*
  ყიდვა (ნაბეჭდი წიგნი)
  ინტერნეტი (ელექტრონული წიგნი)
  კერძო / პირადი ბიბლიოთეკა

მეგობრებისგან / ოჯახისგან თხოვება
სკოლის ბიბლიოთეკა
საჯარო ბიბლიოთეკა
კერძო ბიბლიოთეკა
ლიცენზირებული (ფასიანი) ჩამოტვირთვა ინტერნეტიდან
Iარალიცენზირებული ჩამოტვირთვა ინტერნეტიდან
სხვა

- *რა ჟანრის ლიტერატურას ყიდულობს ქართველი მკითხველი ?(ქართული ლიტერატურა / თარგმნილი ლიტერატურა):*
მხატვრული ლიტერატურა
არა მხატვრული (წერილები, მემუარები, ბიოგრაფიები)
დეტექტიური ჟანრის ლიტერატურა
სასიყვარულო ნოველები
ბელეტრისტიკა
საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურა
სამეცნიერო ფანტასტიკა, ფენტეზი
პროფესიული და დარგობრივი ლიტერატურა
ესეისტიკა და კრიტიკა
სასწავლო ლიტერატურა და „სავალდებულო საკითხავი“
ენციკლოპედიები, ლექსიკონები, გზამკვლევები
რელიგიური ლიტერატურა

- *რა ჟანრის ლიტერატურას ანიჭებს მკითხველი უპირატესობას?*
არა მხატვრული (წერილები, მემუარები, ბიოგრაფიები)
დეტექტიური ჟანრის ლიტერატურა
სასიყვარულო ნოველები
ბელეტრისტიკა
საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურა
სამეცნიერო ფანტასტიკა, ფენტეზი
პროფესიული და დარგობრივი ლიტერატურა
ესეისტიკა და კრიტიკა
სასწავლო ლიტერატურა და „სავალდებულო საკითხავი“
ენციკლოპედიები, ლექსიკონები, გზამკვლევები
რელიგიური ლიტერატურა

15. ბიბლიოთეკები 2013-2015

- საჯარო ბიბლიოთეკის მკითხველთა რაოდენობა
- ბიბლიოთეკების რაოდენობა:
ჯამური
საჯარო
აკადემიური
საგანმანათლებლო
პროფესიული
პროფესიული და ლიტერატურული ცენტრები
აკადემიური ასოციაციები

- საჯარო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების შევსება (შესყიდვების წყარო / შესყიდვების სიხშირე...)

16. **ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი** (2014-2015)

- მთარგმნელობითი პროგრამები
- მთარგმნელობით სუბსიდიები

კვლევის საბოლოო ანგარიში

კვლევის ანგარიშის საბოლოო ფორმატი უნდა შეთანხმებული იყოს შემსყიდველთან და შეიცავდეს შემდეგ მასალებს:

- კვლევის მეთოდოლოგია მონაცემთა შერჩევის, მოცულობის და ანალიზის აღწერით;
- ტექნიკური დავალების მოთხოვნების შესაბამისად (პუნქტები 1-16) დამუშავებული დეტალური ინფორმაცია (რიცხობრივი და პროცენტული მაჩვენებლებით, ანალიზით, შეფასებით);
- გამოკითხული ორგანიზაციების, ნუსხა საკონტაქტო პირის და საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით;
- შევსებული კითხვარები / სკრიპტები;
- კვლევის თითოეულიკომპონენტის შედარებითი ანალიზის შედეგად მიღებული რეკომენდაციები;
- პრეტენდენტმა საბოლოო ანგარიშის წარდგენამდე, ჩატარებული კვლევის შედეგები, პრეზენტაციის სახით, უნდა გააცნოს ცენტრის წარმომადგენლებს.

დანართი №2

პრეტენდენტის რეკვიზიტები

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა, დასახელება	
საიდენტიფიკაციო კოდი	
პრეტენდენტის იურიდიულიან/დაფაქტობრივი მისამართი	
ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელი პირი	
პრეტენდენტის საკონტაქტო სატელეფონო ნომერი	
ელ.ფოსტის მისამართი	
ვებ გვერდის მისამართი	
მომსახურე ბანკი სდასახელება	
ბანკის კოდი	

პრეტენდენტის ხელმოწერა_____

ბ. ა.

დანართი N3

ხარჯთაღრიცხვა

	მომსახურების დასახელება	ღირებულება (ლარი) დღგ-ს ჩათვლით
1.	ქართული წიგნის ბაზრის და საგამომცემლო სექტორის კვლევა	

პრეტენდენტის ხელმოწერა_____

ბ. ა.